



MES 0 22 0000118146



07/02/2022

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 26 იანვარს**. სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87059621360?pwd=UTZ6UIFWRjN3L3VHOFILdHJuRU9Wdz09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს მდივანი;

თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი;

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი;

გიორგი გამყრელიძე- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;

ნათია კვიციანი- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი;

ნიკოლოზ მესხიშვილი- პროფესიული განათლების ექსპერტი;

გიორგი ვეკუა- სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს "ციფრული უნარების განვითარების" პროგრამის კოორდინატორი;

თამარ ჯაფარიძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაიაა ბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დაწესებულების წარმომადგენლები:

(ა)იპგანათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:

ლიკა კილაძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე;

ნათია ნამიჭეიშვილი - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

მარიამ ლომიძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პროგრამის კოორდინატორი;

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“:

ნოდარ ხარაზიშვილი- დირექტორი;

ლიკა ბაბლუანი -ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

გიორგი გრატიაშვილი -პროგრამის განმხორციელებელი პირი;

ლია ბოლქვაძე-კომპანია „ნოვა“-ს წარმომადგენელი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

კახაბერ ჭეიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;

ლევან წიქარიძე - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე;

სოფიო იდაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ინასარიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი:

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი;

ნინო ძაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თეა ოსევაშვილი;

აბესალომ ჭავჭავაძე;

თეა ბაქრაძე;

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის

განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ხიდურა ამწის ოპერირება“ /01254/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთო ექსპლუატაცია“ /01255/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01271/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
- 6.1. სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ფიტნესის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392919 გადაწყვეტილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
- 6.2 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „საფეხმავლო გამყოლი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392924 გადაწყვეტილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
- 6.3 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392923 გადაწყვეტილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
- 6.4 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „კრივის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ **პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392920 გადაწყვეტილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.5 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „მიუდოს ინსტრუქტორი“ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392929 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.6 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „მიუდოს ინსტრუქტორი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392930 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.7 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. თბილისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392921 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.8 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტული მასაჟისტი“ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392918 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.9 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამების ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392926 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.10 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392928 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხი გადატანილიყო პირველ საკითხად საბჭოს დღის წესრიგში.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა და დამტკიცა განახლებული დღის წესრიგი :

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392918 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.9 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამების ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392926 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

6.10 სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392928 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წევრებს შეახსენა, მოცემული დაწესებულების პროგრამის შესახებ. აღნიშნა, რომ საბჭომ „ფეხბურთის ინსტრუქტორის“ პროგრამის დამატების საკითხი განიხილა, დასკვნაში დაფიქსირებული არ იყო ხარვეზი, თუმცა საბჭომ გაამახვილა ყურადღება აღჭურვილობაზე, რომლის ფოტომასალა იქნა მოწოდებული სხდომისთვის. საბჭომ მიიჩნია, რომ ასეთი ინვენტარით დაწესებულება ვერ შეძლებდა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ინვენტარის ჩაენაცვლებინათ ან შეეცვალათ პრაქტიკის ობიექტი.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოზე წარადგინა პრეზენტაცია და აღნიშნა, რომ დაწესებულებას დასკვნაში არანაირი ხარვეზი არ ჰქონდა, თუმცა მიეცა რეკომენდაცია, გამომდინარე იქედან, რომ ფოტოსურათებით წარმოდგენილი ფეხბურთის მოედანი კარგად მოწყობილი არ იყო, ბუნებრივი საფარი კარგი იყო თუმცა, არ ჩანდა, რომ იგი მოწესრიგებული იყო, არც ფოტოზე გამოსახული ბურთები არ შეესაბამებოდა იმ სტანდარტს, რაც ფორმალური განათლების შესაფერისი შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ უმჯობესი იყო, კოლეჯს მოეძებნა სხვა პრაქტიკის ობიექტი, სადაც თანამედროვე, მოწყობილი ფეხბურთის მოედანი იქნებოდა. კოლეჯს საბჭოს მიერ მიეცა 30 დღიანი ვადა და აღნიშნულის შესრულების შესახებ, კოლეჯმა ელექტრონულ სისტემაში 2021 წლის 24 დეკემბერს წარმოადგინა წერილი და ფოტოსურათები, რომლითაც დადასტურდა ფაქტი იმისა, რომ კოლეჯმა უზრუნველყო იმავე პრაქტიკის ობიექტზე მოედნის აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომლის ფოტო მასალაც ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს გააცნო.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ქალაქ ქუთაისში ფიზიკურად არსებობს მსგავსი მასშტაბის, მხოლოდ 3 საფეხბურთო მოედანი, რომელთაგანაც 1 საერთოდ არ ფუნქციონირებს, ხოლო მეორეს იგივე დატვირთვა ჰქონდა, რაც მოცემული პრაქტიკის ობიექტის არსებულ მოედანს, შესაბამისად დაწესებულებამ

მიზანშეწონილად არ მიიჩნია, პრაქტიკის ობიექტის ჩანაცვლება და მხოლოდ ინფრასტრუქტურა განაახლეს.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ, საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით, აღნიშნა, რომ წინა ჯერზე მოცემული საკითხის განხილვისას, მან ვერ დაინახა მოცემული პროგრამის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, არსებული ინვენტარიდან გამომდინარე, ხოლო არსებული მდგომარეობით, იმ ფოტო მასალით, რომელიც საბჭოზე ლანა გაჩეჩილაძემ წარადგინა, სავსებით ირკვეოდა, რომ დაწესებულებამ განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და მისთვის მიცემული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა. გამომდინარე აქედან, მას კოლეჯთან დამატებითი მოთხოვნა ან რაიმე კითხვა აღარ ჰქონდა და ყველა წინაპირობა, რაც საჭირო იყო პროგრამის განხორციელებისთვის, მას აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01206/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 1 (მარიკა ზაქარეიშვილი)

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფეხბურთის ინსტრუქტორი /01206/ ქ. ქუთაისში (**დანართი1**).

პირველი საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს შემოუერთდა თორნიკე ჯობავა.

2. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოზე საკითხი წარადგინა, ექსპერტმა თეა ოსეფაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“, არის 35 წლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ცნობილი არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი გაესაუბრნენ როგორც დაწესებულების, ისე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, საიდანაც გამოჩნდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ის პასუხისმგებლობა, რაც მოცემული პროგრამის განხორციელების შედეგად წარმოიშვება.

ექსპერტმა, საბჭოს წევრებს პროგრამის დეტალები გააცნო, რომ განსახლველი იყო „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“, პროგრამის სახე - პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა -17 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შესახვევი, №8.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. რადგან, პროგრამის შინაარსში არ იყო, საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ სრული თემატიკა. ამასთან, ვინაიდან საზოგადოებრივი მუშაობა მოიცავს ახალგაზრდულ მუშაობას, ხოლო ახალგაზრდული მუშაობა კი მოიცავს ახალგაზრდულ საზოგადოებრივ მუშაობას და არა საზოგადოებრივ მუშაობას, საზოგადოებრივი მუშაობა არის გაცილებით ფართო და მრავალმიმართულებიანი სფერო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირადად მის მიერ მოხდა საქართველოში არსებული იმ დოკუმენტების შესწავლა, რომელიც კანონისა და კანონქვემდებარე აქტების სახით არსებობს და რომლითაც დასტურდება, რომ საზოგადოებრივ მუშაობას უფრო ფართო განმარტება აქვს, რაც მოცემულ პროგრამას არ შეესაბამება. ამასთან, დასახელებასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა ისიც, რომ დაწესებულება დაეყრდნო ევროპულ სტანდარტებს, რომელიც მრავალი დოკუმენტიც დასტურდებოდა, თუმცა დაწესებულების მიმართ არსებობდა კითხვები თარგმანთან მიმართებითაც, რომ საზოგადოებრივი მუშაობა, ახალგაზრდული მუშაობა და ა.შ ზუსტად არ იყო მოცემული. შესაბამისად რეკომენდაცია მიეცა დაწესებულებას, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდებოდა როგორც, „ახალგაზრდული მუშაობა“, „ახალგაზრდული მუშაკის მომზადება“ ან სხვა.

ექსპერტმა ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

1.4 ქვესტანდარტი- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლი შედეგის ადეკვატურია, თუმცა, ტექნიკურად გამორჩენილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საშუალო (სრული ზოგადი განათლება) და სრულწლოვანება (18 წ), რომელიც მოცემულია განაცხადის თანდართულ პროგრამის შევსებულ ფორმაში და არა ელექტრონული სისტემით გენერირებულ პროგრამაში, შესაბამისად რეკომენდირებულია, გასწორებულიყო ტექნიკური უზუსტობანი.

1.6 ქვესტანდარტი - პროგრამის სწავლის შედეგები მართალია აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარ-ჩვევებით, კომპეტენციით, თუმცა, რეკომენდირებულია, სწავლის შედეგები ლაკონურად იქნეს ჩამოყალიბებული, ასევე მეორე სწავლის შედეგში დაზუსტდეს ჩანაწერი და მიეთითოს „ზედამხედველობის ტექნიკების გამოყენება“.

1.9 ქვესტანდარტი - პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში პროგრამის სახელწოდება ტექნიკურად არასწორად არის მითითებული, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დასახელება გასწორებულიყო.

3.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია გადაიხედოს ორგანიზაციის სხვადასხვა დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, კითხვარები და ა.შ) წარმოდგენილი დოკუმენტები ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს გრელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას და არ არის მორგებული პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის თავისებურებებზე.

რაც შეეხებოდა სტანდარტების შეფასებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.1 ქვესტანდარტს დაწესებულება აკმაყოფილებდა, ვინაიდან პროგრამის საჭიროების დასაბუთების ნაწილში დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ დოკუმენტები.

1.3 ქვესტანდარტი- პროგრამის მიზანი შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

1.4 ქვესტანდარტი - დაწესებულების პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებულია მხოლოდ სიტყვა „განათლება“. რეალურად პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საშუალო (სრული ზოგადი განათლება) და სრულწლოვანება (18 წ), რომელიც მოცემულია განაცხადის თანდართული პროგრამის შევსებულ ფორმაში და არა ელექტრონულ სისტემით გენერირებულ პროგრამაში. რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და ელექტრონულ სისტემაში სრულყოფილად მიეთითოს დაშვების წინაპირობა. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას, სულ 570 საათს. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

1.5 ქვესტანდარტი - იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამაში „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ მითითებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონე, წარმოდგენილ პროგრამაში იკვეთება მე-5 დონის შესაბამისი ცოდნა-უნარები და პასუხისმგებლობები. პირს მოუწევს არაპროგნოზირებად გარემოში მუშაობა, სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება. წარმოდგენილი პროგრამის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისად არის მე-5.

1.6 ქვესტანდარტი - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, თუმცა რეკომენდაცია დაფიქსირდა, რაც უკვე გაჟღერდა რეკომენდაციების ნაწილში.

1.7 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას, სულ 570 საათს, კერძოდ მე-6 კვირა 30სთ, მე-15 - 10სთ, მე-16 - 30სთ, მე-17 - 20სთ, ხოლო დანარჩენ კვირებში - 40 სთ. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა, მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

1.8 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამაში „საზოგადოებრივი ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ გამოყენებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დისკუსია, გონებრივი იერიში, პრაქტიკული სავარჯიშო, როლური თამაში, შემთხვევის ანალიზი. გამომდინარე აქედან, სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

1.9 ქვესტანდარტი - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. საბჭოს წევრებს გააცნო პრაქტიკული მეცადინეობების საკითხი. აღნიშნა, რომ პრაქტიკა არის მთლიანობაში პროგრამის დაახლოებით 85%. ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციაზე პარტნიორ ორგანიზაციებთან არის გაფორმებული მემორანდუმები: უკეთესი მომავლისთვის; ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი; დემოკრატი მესხთა კავშირი; თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი; ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი; ფონდი აფხაზინტერკონტი; სიქა - საგანმანათლებლო ინიციატივების

ქართული ასოციაცია; ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის; საზოგადოება ბილიკი. აღნიშნულ მემორანდუმებში პროგრამის სახელწოდება ტექნიკურად არასწორად იყო მითითებული, შესაბამისად რეკომენდირებულია გასწორდეს პროგრამის სახელწოდება.

1.10 ქვესტანდარტი - მსმენელის შეფასების სისტემა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას უზრუნველყოფს. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მსმენელთა შეფასება ხდება შეფასების მეთოდებით: გამოკითხვა, პრაქტიკულ დავალებზე დაკვირვება, პრაქტიკული დავალება. ამასთან დაწესებულებამ შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტებს მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია. სასწავლო კურსის მიმდინარეობისას ჩატარდება კომპეტენციის განვითარების შუალედური შეფასებები. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპეტენციების დადასტურება მოხდება კონსულტანტების ანგარიშის, მსმენელის მიერ გაწეული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციისა (შესრულებული სამუშაოს ანგარიშები) და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, პორტფოლიოს არსებობა და დავალების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებს დაკამყოფილება არის აუცილებელი პირობა პროგრამის დასრულებისათვის. ამასთან, თითოეული დავალების ზოგადი აღწერა მოცემულია პროგრამაში შესაბამის სასწავლო კვირაში, თუმცა დავალების სპეციფიკა მოერგება იმ საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციას, რომელშიც იქნება განაწილებული მსმენელი. რაც შეეხება 2.1 – 2.3 ქვესტანდარტს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუთი. ასევე, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული დადასტურებულია, ვიზუალური დათვალიერებით - A და C გარემო, 2 აუდიტორია, 15-15 მსმენელი 2 ჯგუფად, შეჭრილი ცხრილებით. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

ექსპერტმა, საბჭოს, დაწესებულების ფოტო მასალა წარუდგინა, ხოლო შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დაწესებულებას სხვა პროგრამის განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული და ორივე პროგრამის განხორციელება იგეგმება ერთი და იმავე აუდიტორიებში. შესაბამისად, როგორც ამას დაწესებულება განმარტავდა, აღნიშნული 2 პროგრამის ჯგუფების ერთმანეთთან დამთხვევა არ მოხდებოდა, რადგან ორივე პროგრამისთვის ცალ-ცალკე გრაფიკი იყო დადგენილი.

2.4 ქვესტანდარტი - დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა: შპს „კარიბჭის“ საექსპერტო დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი; შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა; სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტი; ინექტრუქცია ხანძრის დროს პერსონალის მოქმედების სესახებ; კოვიდ რეგულაციების შესაბამისი წესები, ჟურნალები და ტექნიკური ინვენტარი-აღჭურვილობა.

მესამე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია ან არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულებას, რომ თუ სურვილი ექნებოდათ ესაუბრათ ექსპერტის მიერ მათთვის მიცემულ რეკომენდაციებზე და გამოვლენილ ხარვეზზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიკა კილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და ზოგადად ამ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ასეთი კონკრეტულობისთვის და საფუძვლიანი განხილვისთვის. აღნიშნა, რომ ეთანხმება რეკომენდაციებს. შემდგომ ისაუბრა გამოვლენილ

ხარვეზზე და დარეკომენდაციებზე. აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული ახალგაზრდობის სააგენტოსთან, რომელიც არის ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი სააგენტო, რომელიც ახალგაზრდების განვითარების ეკოსისტემას უწყობს ხელს. ამასთან კოლეჯმა აღნიშნულ მემორანდუმში გაითვალისწინა ისიც, რომ თუ მოიპოვებდნენ მოცემული პროგრამის განხორციელების უფლებას, მათთან თანამშრომლობით განახორციელებდნენ პირველივე კურსს. ამასთან ისაუბრა სასწავლო ცხრილთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზეც და განმარტა, რომ მოცემული პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ ორივე პროგრამის დროის გათვალისწინებით მოეხდინათ ცხრილების დალაგება.

პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელწოდების შერჩევის საწყის ეტაპზეც და ვიზიტის დროსაც ჰქონდათ გარკვეული მოსაზრებების სხვადასხვაობა სახელწოდებასთან დაკავშირებით, შესაბამისად მათ მიიღეს ექსპერტის რეკომენდაცია და მიიჩნიეს, რომ აღნიშნული პროგრამისთვის სახელწოდება შემდეგნაირად უნდა შეცვლილიყო და დარქმეოდა: „ახალგაზრდებთა მუშაობის ძირითადი უნარები“ ან „ახალგაზრდებთა მუშაობის საბაზისო უნარები“. რაზედაც მსჯელობა ახლაც მიმდინარეობდა ორგანიზაციაში, რადგან სამომავლოდ ისინი ფიქრობდნენ მოცემული პროგრამის საფუძველზე გადამზადების და საბაკალავრო პროგრამების განხორციელებასაც, რასთან დაკავშირებითაც ორგანიზაცია თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. გამომდინარე აქედან სახელწოდების ცვლილებასთან მიმართებით. ასევე, აღნიშნა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით რიგი დოკუმენტები განაახლეს და კიდევ გეგმავენ ცვლილებებს.

საბჭოს თამჯდომარემ ჰკითხა, ექსპერტს, იყო თუ არა მისთვის მისაღები, მოცემული პროგრამის სახელწოდება შემდეგნაირი ყოფილიყო: „ახალგაზრდებთან მუშაობის ძირითადი უნარები“, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე კარგი იქნებოდა, თუ პროგრამას „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ ეწოდებოდა.

საბჭოს თამჯდომარემ, ექსპერტს, დაწესებულებას, ცენტრს და პროგრამაზე მომუშავე პირებს, მადლობა გადაუხადა ასეთი ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობისთვის. შემდეგ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. ნიკოლოზ მესხისვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ საკითხის კენჭისყრამდე აუცილებელი იყო პროგრამის სახელწოდებაზე ურთიერთშეჯერება. რაზეც დაწესებულების ლიკა კილაძემ უპასუხა, რომ ორგანიზაცია კარგად არ იყო ჩამოყალიბებული პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით და სრულად არ ეთანხმებოდა ექსპერტის მიერ დასახელებულ სახელწოდებას ზემოხსენებული გეგმებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ, განუმარტა დაწესებულებას, რომ საბჭოს ხარვეზის არსებობის გამო შეეძლო, დაწესებულებისთვის დამატებითი 30 დღიანი ვადის მიცემა, რა დროშიც დაწესებულება შეძლებდა ჩამოეყალიბებინა პროგრამის ზუსტი დასახელება. დაწესებულების წარმომადგენელმა და ექსპერტმა, აღნიშნეს, რომ მათთვის მისაღები იყო პროგრამისთვის „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო კურსი“-ს დარქმევა.

ნიკოლოზ მესხიშვილმა, აღნიშნა, რომ მარკეტინგულად კარგი იქნებოდა თუ პროგრამას საინტერესო სახელი ერქმეოდა, ამიტომ „საბაზო კურსი“ თუ შესაძლებელი იქნებოდა შეცვლილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს კენჭისყრაზე ისინი დააყენებდნენ დაწესებულებისთვის 30 დღიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხს, რათა დაწესებულებამ შეძლოს ამ 1 თვის ვადაში პროგრამისთვის ყველაზე საუკეთესო დასახელების შერჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსწორებისთვის 30 დღიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრს (ს/კ: 212907522) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - საზოგადოებრივი და ახალგაზრდული მუშაკის მომზადების პროგრამა /01259/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ხიდურა ამწის ოპერირება“ /01254/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

4. კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთო ექსპლუატაცია“ /01255/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხი საბჭოზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, მაყვალა დარსანიამ, რომელმაც სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ორივე პროგრამა საბჭოზე ერთი პრეზენტაციით წარმოადგინა.

მაყვალა დარსანიამ, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ არცერთ პროგრამაში, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზები არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები არ გაცემულა.

1.1 ქვესტანდარტი - „ხიდურა ამწის ოპერირების“ პროგრამისთვის კოლეჯმა წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული გადამზადების პროგრამის „ხიდურა ამწის ოპერირება“ დამატების მიზანშეწონილობის შესახებ“. ამასთან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2020 წელს ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით დგინდება, რომ საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარების მიმართულებით ამ სფეროს გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (როგორც საჯარო, ისე კერძო ინვესტიციებით), რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას აღნიშნულ სექტორში.

ხოლო „სასაწყობე სატვირთვლის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროგრამისთვის კოლეჯმა წარმოადგინა დოკუმენტი - „პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასაწყობე სატვირთვლის უსაფრთხო ექსპლუატაცია“ დამატების მიზანშეწონილობის შესახებ“. დოკუმენტის თანახმად, მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრიდერის, სატვირთვლისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორი არის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება სამოქალაქო, სამრეწველო, საგზაო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური მშენებლობის ორგანიზაციებს. „სასაწყობე სატვირთვლის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას ნებისმიერ კომპანიაში, სადაც გამოიყენება სასაწყობე სატვირთველები.

1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამების სახელწოდება „ხიდურა ამწის ოპერირება“ და „სასაწყობე სატვირთვლის უსაფრთხო ექსპლუატაცია“ და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

1.3 ქვესტანდარტი - ორივე პროგრამისთვის, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, რადგან მასში ნათლადაა ასახული ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების გადამზადება, შესაბამისად ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

1.4 ქვესტანდარტი - ორივე პროგრამისთვის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. „ხიდურა ამწის ოპერირების“ პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, ასევე წარმოდგენილი პროგრამის წინაპირობის მიხედვით მსმენელს უნდა ჰქონდეს 1 წლიანი პრაქტიკული გამცდილება, კერძოდ ხიდურა ამწის ოპერირებაში არანაკლებ 6 თვე. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება. „სასაწყობე სატვირთვლის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, ასევე წარმოდგენილი პროგრამის წინაპირობის მიხედვით მსმენელს უნდა ჰქონდეს სასაწყობე სატვირთველების ოპერირებაში პრაქტიკული გამცდილება არანაკლებ 6 თვე. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.

1.5 ქვესტანდარტი - ორივე პროგრამისთვის, პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

1.6 ქვესტანდარტი - ორივე პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

1.7 ქვესტანდარტი - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. „ხიდურა ამწის ოპერირების“ პროგრამის შემთხვევაში, პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 (ოთხი) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა 15 სთ, სულ - 60 სთ. ხოლო „სასაწყობე სატვირთულის უსაფრთხოების ექსპლუატაციის“ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 (ოთხი) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა 10 სთ, სულ - 40 სთ.

1.8 ქვესტანდარტი - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. „ხიდურა ამწის ოპერირების“ პროგრამისას სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული სავარჯიშო.

1.9 ქვესტანდარტი - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ორივე პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შპს „ნოვასთან“ ურთიერთ-თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას ერთი მიღების ფარგლებში უზრუნველყოს კოლეჯის მიერ პროგრამის 10 მსმენელი აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და ინფრასტრუქტურით. პროგრამის მსმენელთა სწავლების ორგანიზებაზე პასუხისმგებელია კოლეჯი და ორგანიზაცია. შპს „ნოვა“ სწავლების მე-3 კვირიდან უზრუნველყოფს მსმენელთა პრაქტიკული კომპონენტის გავლას და მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მიღწევისათვის. ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ დათვალიერებულ იქნა შპს „ნოვას“ ტერიტორიის ნაწილი, სადაც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი, ასევე გასაუბრება ინსტრუქტორებთან, კომპანიაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 10 მსმენელის მიღების საშუალებას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ორივე პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

1.10 ქვესტანდარტი - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. პროფესიული გადამზადების ორივე პროგრამაში პროგრამის აღწერის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქვისების (შემთხვევის) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (საბოლოო გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

2.1 ქვესტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ორივე პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კერძოდ პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომები, შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.

2.2 ქვესტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და ორივე პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ორივე პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 10-10. პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

ადგილი არის ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. No44 და აგლადის ქ. No45. ორივე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 10 მსმენელს. სასწავლო აუდიტორიაში პროფესიული გადამზადების პროგრამაში ჩართულ მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა განისაზღვრება 10 ადგილით. აქედან გამომდინარე, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით განისაზღვრება 10 ადგილით, სადაც თითოეული მსმენელი ინდივიდუალური კომპიუტერით იქნება უზრუნველყოფილი. ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ დათვალაიერებულ იქნა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი - შპს „ნოვა“, ასევე გასაუბრება ინსტრუქტორებთან, კომპანიაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 10-10 მსმენელის მიღების საშუალებას თითოეულ პროგრამაზე.

2.3 ქვესტანდარტი - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე ორივე პროგრამასთან მიმართებით, სასწავლო მასალა წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის ბიბლიოთეკაში და ასევე ელექტრონულად. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

